ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № გ-15

ქ. თბილისი 11 აგვისტო 2016 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შოთა კვარაცხელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მიტიჩაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, ,,დ” ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N 1833 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1 - ით გათვალისწინებული, სსიპ სსსტც „დელტა“-ს ბალანსზე რიცხული ავტომობილისთვის (**FORD TRANSIT** სახელმწიფო ნომრით **HMH-532)** პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვა თანმდევი ნაწილებით (CPV50100000)
2.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 229.00 (ორას ოცდაცხრა) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. **მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.
4.2. მომსახურების გაწევა ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. **გარანტია**

5.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება 6 (ექვსი) თვიანი გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სწორი ექსპლუატაციის პირობებში.
5.2. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდვლის შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან

განაცხადოს მოტივირებული უარი) შემსყიდვლის შეტყობინება და შემსყიდვლის მოთხოვნის შესაბამისად 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შეცვალოს დეფექტური ნაწილი/საქონელი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

5.3. თუ დადგება ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დამდგარი შედეგების აღმოფხვრა მიმწოდებლის ადგილსამყოფელზე.

6. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ გამოყოფილ პირებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

7.1. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ღირებულება.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%-ის ოდენობით (ავანსი), მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლები 30 დღით უნდა აღემატებოდეს;

8. მხარეების უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

8.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

8.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

8.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

8.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

8.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

8.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

8.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

8.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

8.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. სუბკონტრაქტორები

9.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა

წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

9.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

11.2. დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს მიერ. გამოყოფილ პირებს.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.4. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადების დაცვის კონტროლს განახორციელებს სსსტც „დელტას" სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ლაშა მურჯიკნელი და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი სოფიო გავაშელიშვილი.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო მომსახურების ნაწილში მე-5 მუხლის შესაბამისად, ხოლო ყველა დანარჩენ ნაწილში 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

12.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

12.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
ტელ./ფაქსი: 295-50-27
საიდენტიფიკაციო კოდი №202297335
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
საბანკო კოდი -TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში 707297065

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

_____ შოთა კვარაცხელია

მიმწოდებელი:

შპს „G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი“
მისამართი:. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ბ.ხმელნიცკის ქ., No181-ის მიმდებარე ტერიტორია
ტელ. 599 90 61 26
ელ-ფოსტა: m.kakhniauri@gmail.com
ს/კ 406110435
საბანკო რეკვიზიტები:
სს “პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE 56 PC 0133 6001 0006 1301

დირექტორი

_____ გიორგი მიტიჩაშვილი

2016 წლის 11 აგვისტოს № გ-156 ხელშეკრულების დანართი №1
ხელშეკრულების ობიექტი

N	დასახელება	CPV	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
1	ძრავის ზეთი 10W40	50100000	ლიტრი	7	12.00	84.00
2	საწვავის ფილტრი	50100000	ცალი	1	45.00	45.00
3	ჰაერის ფილტრი	50100000	ცალი	1	40.00	40.00
4	ზეთის ფილტრი	50100000	ცალი	1	20.00	20.00
5	ავტოტექმომსახურება	50100000	სხვა	1	40.00	40.00

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 13- 08- 2016 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა", შემდეგომში - შემსყიდველი და მეორეს მხრივ შპს „G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი“ შემდეგომში - მიმწოდებელი ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის 2016 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული № გ-156 ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელმა გაუწია შემსყიდველს მომსახურება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 229.00 (ორას ოცდაცხრა) ლარი.

მიიღო შემსყიდველი:	ჩააბარა მიმწოდებელი:
სსიპ - სსსტც ცენტრი "დელტა"	შპს „G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი“
_____	_____
_____	**გიორგი მიტიჩაშვილი**

სს "პროკრედიტ ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ MIBG GE22
GE56PC0133600100061301

გ ენდ გ მოტორსი
G & G MOTORS
ს/კ 406110435
ქ.თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის 181--ს მიმდებარედ
ტელ:599-906-126

დამკვეთი: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკური ცენტრი "დელტა"
ს/კ 202297335

თარიღი:.10.08.2016

ინვოისი

სახ.№	ტიპი/მოდელი	ძრავის ნომერი **VIN**	გარბენი
HMH-532	FORD TRANSIT		**338000**

№		სათადარიგო ნაწილების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მომსახურების ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1		ზეთი 10W40	7	12,00	0,00	84,00
2		საწვავის ფილტრი	1	45,00	20,00	65,00
3		ჰაერის ფილტრი	1	40,00	20,00	60,00
4		ზეთის ფილტრი	1	20,00	0,00	20,00
					ჯამი:	**229,00**

თანხა მოცემულია ლარებში დღგ-ს ჩათვლით

ცენტრის წარმომადგენელი:

მიმღები: